საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ბრძანება

N 1576-03
27/08/2021

ქ. თბილისი

“2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის, საბუთების მიღებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ”
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 26 ივლისის N 1416-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინიტსრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 27 აგვისტოს N 1575-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება “2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის, საბუთების მიღებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ” სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 26 ივლისის N 1416-03 ბრძანების 1-ლ პუნქტში და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე გამოცხადებული მიღების ფარგლებში, მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის რეგისტრაცია გაგრძელდეს 2021 წლის 29 აგვისტოს 00:00 საათის ჩათვლით.

2. შევიდეს ცვლილება ამავე ბრძანების მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის, საბუთების

მიღების, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და პროგრამებზე მიღების მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია და შეფასების სისტემის დოკუმენტები განთავსდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 11 აგვისტოსი, ხოლო დეტალური ინფორმაცია მაგისტრანტობის კანდიდატთა სიების, გამოცდების ზუსტი თარიღებისა და საგამოცდო აუდიტორიების მითითებით - არაუგვიანეს 31 აგვისტოსი;“

3. შევიდეს ცვლილება ამავე ბრძანების მე-10 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„10. ხელშეკრულებების გაფორმება მაგისტრანტობის იმ კანდიდატებთან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ერთიანი სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები და რეიტინგული სიის მიხედვით მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება, განხორციელდეს 2021 წლის 17 სექტემბრიდან 2021 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე A 103 აუდიტორიაში (მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. N32)“.

2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს.

გიორგი გვალია

დეკანი